

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

12.02.2016 № 24

თბილისი

2015/2016 სასწავლო წლის მეორე
სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ


“უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე, 2015/2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. 2015/2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (პროფესიული უმაღლესი განათლება, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა); სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის, გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა (ბაკალავრიატი), ჩატარდეს 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 25 ივნისის ჩათვლით (იხ.დანართი 1);
2. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;
3. დოქტორანტურის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ I შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-4 სასწავლო კვირაში – 2016 წლის 21 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით, II შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-8 სასწავლო კვირაში – 2016 წლის 18 აპრილიდან 23 აპრილის ჩათვლით. უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სხვა კომპონენტებში პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-7 სასწავლო კვირაში – 2016 წლის 11 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით, ხოლო მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-14 სასწავლო კვირაში - 2016 წლის 30 მაისიდან 04 ივნისის ჩათვლით; (იხ. დანართი 1);
4. შუალედური გამოცდების (ტესტირებების) კვირებში სააუდიტორიო მეცადინეობები არ დაიგეგმოს (იხ. დანართი 1);
5. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2016 წლის 27 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2016 წლის 13 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
6. მაგისტრატურის კვლევითი კომპონენტის პროსპექტუსების, დოქტორატურის კვლევითი კომპონენტის პროსპექტუსებისა და კოლოქვიუმების ჩაბარება, სემინარების, სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების/სადოქტორო დისერტაციების დაცვა, როგორც წესი, განხორციელდეს დასკვნითი გამოცდების ვადებში;
7. სასწავლო კურსის (გარდა დოქტორანტურის სასწავლო კურსისა) წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი, იხ. დანართი 3, 4) სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასების, შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (იხ. დანართი 2) შედეგები შეიტანოს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);

8. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს კომპიუტერულ ცენტრში ჩატარებული შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);
9. მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 5) მაგისტრანტის კვლევით კომპონენტში (მათ შორის „სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა“) შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები შეიტანოს გამოცდის/დაცვის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);
10. დოქტორანტურის სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 6) დოქტორანტის შესაბამისი შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (იხ. დანართი 2) შედეგები შეიტანოს გამოცდის (ტესტირების) ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე); სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 7) დოქტორანტის სემინარსა და კვლევით კომპონენტში შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები შეიტანოს გამოცდის (ტესტირების) ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე); სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 8) დოქტორანტურის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ შუალედური გამოცდის (ტესტირების)/დისერტაციის დაცვის შედეგები შეიტანოს გამოცდის (ტესტირების) ჩატარების ბოლო ვადის/დისერტაციის დაცვის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);
11. სემესტრის ბოლოს, არა უგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი, მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას და არსებული წესის მიხედვით გადასცემს დეკანატს;
12. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს:
 - 12.1. სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია აკადემიური ჯგუფების მიერ მიმდინარე სემესტრში გეგმიურად გასავლელი სასწავლო კურსებისა (მათ შორის – სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის) და კვლევითი კომპონენტების ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;
 - 12.2. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტების სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების დამატებით (ხელახლა) გასავლელად დაშვების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია შესაბამისი ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;
 - 12.3. სემესტრის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებების პროექტები მიმდინარე სემესტრში საწარმოო პრაქტიკის გავლის გრაფიკის შესახებ;
 - 12.4. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია ბაკალავრიატისა და პროფესიული უმაღლესი განათლების დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების აკადემიური დავალიანების შესახებ, აგრეთვე

- ნაშრომის დასრულება და დაცვა“ მაგისტრანტების დაშვების შესახებ (იხ. დანართი 9);
- 12.6. სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე წარმოადგინონ ბრძანების პროექტები საგამოცდო კომისიების შემადგენლობისა და მათი მუშაობის განრიგის (დაცვის ადგილის, კომისიის მუშაობის დაწყების დრო) შესახებ;
 - 12.7. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში კომპონენტზე „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ დოქტორანტების დაშვების შესახებ, აკადემიური და ფინანსური დავალიანების არარსებობის მითითებით (იხ. დანართი 10);
 - 12.8. სესიების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მომზადებული საფაკულტეტო ბრძანებები დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტის კოლოქვიუმებისა და სემინარების კომისიების შემადგენლობისა და მათი მუშაობის განრიგის (ჩატარების ადგილი, კომისიების მუშაობის დაწყების დრო) შესახებ;
 - 12.9. დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე წარმოადგინონ ბრძანებების პროექტები სადისერტაციო კოლეგიების შემადგენლობების დამტკიცებისა და დისერტაციების დაცვის დანიშვნის შესახებ დისერტანტის, თემის დასახელების, ხელმძღვანელის, რეცენზენტების, დაცვის დროისა და ადგილის, აგრეთვე კრედიტებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის მითითებით;
 - 12.10. სესიების დაწყებამდე ერთი თვით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ დასკვნითი გამოცდების ცხრილი;
 - 12.11. უზრუნველყონ სემინარის/კოლოქვიუმისა და დისერტაციის დაცვის პროცესის სრული აუდიო (ვიდეო) ჩაწერა, როგორც სემინარის/კოლოქვიუმისა/დისერტაციის დაცვის ოქმის დანართი;
 - 12.12. სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები სემესტრის ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები;
 - 12.13. სემესტრის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სტუდენტთა სწავლების შემდეგ წელზე გადაყვანის ბრძანებების პროექტები;
 13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
 14. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.


რექტორი  ა. გ. გ. გ.

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე



სტუდენტთა მიღწევების შეფასება

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული უმაღლესი განათლების, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სასწავლო კურსებში (საგნებში) სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის შუალედური შეფასებები მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებებს და შუალედურ გამოცდებს (ტესტირებებს):
 - ყოველკვირეული ჯამური (სემესტრული) მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა (2 ქულა X 15 კვირა);
 - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
 - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;

ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის სემესტრის განმავლობაში მითითებული ორის ნაცვლად ჩატარდება სამი შუალედური გამოცდა (ტესტირება):

 - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
 - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
 - III ტესტირება – მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულასა და სტუდენტის მიერ ყოველკვირეულ შეფასებებში დაგროვებულ ქულებს შორის სხვაობას;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა პროფესიული უმაღლესი განათლების, ბაკალავრიატის სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებების – ყოველკვირეული შეფასებების და შუალედური გამოცდების (ტესტირებების) – ჯამში დააგროვა 21 და მეტი ქულა (მაგისტრატურაში – 30 და მეტი ქულა), ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული/საკურსო და ა.შ.);
2. მაგისტრატურის სტუდენტებისათვის კვლევით კომპონენტებში ტარდება ორი შუალედური გამოცდა (ტესტირება):
 - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
 - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელმაც შუალედური გამოცდების (ტესტირებების) ჯამში დააგროვა 30 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა და ხელმძღვანელს დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი; სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით წინა სემესტრებში გათვალისწინებული ყველა კომპონენტი და კომპონენტში „სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა“ შუალედური გამოცდების (ტესტირებების) ჯამში დააგროვა 30 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა საკვალიფიკაციო ნაშრომი;
3. დოქტორანტურის სტუდენტებისათვის სასწავლო და კვლევით კომპონენტებში ტარდება ორი შუალედური გამოცდა (ტესტირება):
 - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;

• II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 30 ქულას;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები და შუალედური შეფასებების (ტესტირებების) ჯამში დააგროვა 30 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი; დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც, როგორც წესი, მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი და კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ შუალედურ შეფასებებში (ტესტირებებში) დააგროვა 30 და მეტი ქულა, ამასთან დაასრულა და დადგენილი წესით სადისერტაციო საბჭოში წარადგინა ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარები;

4. პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმის (ლაბორატორიული/ პრაქტიკული/ საკურსო სამუშაო, სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომი და ა.შ.) შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად, გარდა დოქტორანტურის კომპონენტისა „დისერტაციის დასრულება და დაცვა“, ელექტრონულ უწყისში სააუდიტორიო მეცადინეობების ბოლო კვირის შეფასებების ფანჯარასთან ერთად გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა (შემდგომში – დოკუმენტური მასალის ფანჯარა) სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით. დოკუმენტური მასალის ფანჯარა იხსნება პროგრამით განსაზღვრული თითოეული ჩასაბარებელი სამუშაოსათვის; დასკვნითი გამოცდის უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დასკვნით გამოცდაზე/სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე გასასვლელად აუცილებელი ქულების დაგროვებისა და დოკუმენტური მასალის ჩაბარების (უწყისში სათანადო მონიშვნის) შემდეგ; დოკუმენტური მასალის ფანჯარა/ფანჯრები დაიხურება დასკვნითი გამოცდის ფანჯრის დახურვასთან ერთად; დოქტორანტურის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ უწყისში დოკუმენტური მასალის ფანჯრები გაიხსნება მე-9 სასწავლო კვირის დასაწყისში და დაიხურება სადისერტაციო საბჭოში დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენის ბოლო ვადის მომდევნო ორ სამუშაო დღეში (17 საათზე); დასკვნითი გამოცდის უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დისერტაციის დაცვაზე გასასვლელად აუცილებელი ქულების დაგროვებისა და დოკუმენტური მასალის (დისერტაციის) ჩაბარების (უწყისში სათანადო მონიშვნის) შემთხვევაში;

5. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი ვალდებულია გავიდეს დასკვნით გამოცდაზე (შესაბამისი უფლების არსებობისას – დამატებით გამოცდაზე); პროფესიული უმაღლესი განათლებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასებაა მაქსიმალური შეფასების მეოთხედი, ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის – მაქსიმალური შეფასების ნახევარი;

6. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება – ვერ ჩააბარა), აგრეთვე აღნიშნული შეფასებების ჯამში 51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე არასაკმარისი შეფასების

მიღებისას, სტუდენტს აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

7. დასკვნით ან/და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით, მიეცემა გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;
8. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის ელექტრონულ უწყისში პირველი ტესტირების უჯრა გაიხსნება მე-6 კვირაში, მეორე ტესტირების უჯრა – მე-12 კვირაში, ხოლო მესამე ტესტირების უჯრა – მე-13 კვირაში; დასკვნითი გამოცდის უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელი ქულების დაგროვებისა და დოკუმენტური მასალის ჩაბარების (უწყისში სათანადო მონიშვნის) შემდეგ;
9. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა; დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგები არ ჯამდება;
10. სტუდენტის საბოლოო შეფასება მიიღება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შეფასების შეჯამებით. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), ან შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), ან დასკვნით/დამატებით გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას ან არასაკმარისი ქულის მიღებისას, აგრეთვე დოკუმენტური მასალის შეუსრულებლობის ან დროულად ჩაუბარებლობისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;
11. პედაგოგი ვალდებულია მეცადინეობის დაწყებამდე გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია, შევიდეს აუდიტორიაში და ჩაატაროს მეცადინეობა სილაბუსის შესაბამისად. ჯგუფის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი ვალდებულია არ დატოვოს აუდიტორია 25 (ოცდახუთი) წუთის განმავლობაში. რის შემდეგაც ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის დეკანატს და გააკეთოს აღნიშვნა რეგისტრაციის სისტემაში;
12. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება; სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო სასწავლო მასალის მიწოდება და სტუდენტის მიერ ყოველკვირეული შეფასების მიღების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ სასწავლო ცხრილის მიხედვით მეცადინეობის ჩატარება ემთხვევა უქმე დღეს; აღნიშნულის რეალიზაციისათვის დასაშვებია დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, თემების გადანაწილება ან სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას;
13. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს ემთხვევა (მაგალითად, პროფესიული უმაღლესი განათლების მე-5 სემესტრის პრაქტიკა), ისევე შეფასდება, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსი ან მისი კომპონენტი

(პროგრამით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად).

14. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი და სწავლების დეპარტამენტში შეთანხმებული წესით, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 ფაკულტეტის
 № აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა სასწავლო კურსის შეფასების ელექტრონული
 უწყისი №

სწავლების წელი: სემესტრი: სასწავლო წელი:

სწავლების საფეხური: პროფესიული უმაღლესი განათლება ბაკალავრიატი მაგისტრატურა
 სასწავლო კურსის დასახელება: პროფესიული უმაღლესი განათლება ბაკალავრიატი მაგისტრატურა

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი: სწავლების ფორმა და კვირული დატვირთვა, სთ: ლექცია: პრაქტიკული: ლაბორატორიული: სხვა:
 პრაქტიკა: სემინარი: საკურსო პროექტი/სამუშაო:

№	გვარი, სახელი	კვირის №																	საბოლოო შეფასება, ქულა		
		შუალედური შეფასებები, ქულა																			
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17			
1	მაქსიმალური ქულა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	70	30	100
2																					
3																					
შენიშვნა																					

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი	ბელომოწერა	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	თარიღი
დეპარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	რეგ. №	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	თარიღი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 ფაკულტეტის
 № აკადემიური ჯგუფის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე მყოფ
 სტუდენტთა სასწავლო კურსის შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: სემესტრი: სასწავლო წელი:

სწავლების საფეხური: პროფესიული უმაღლესი განათლება ბაკალავრიატი მაგისტრატურა

სასწავლო კურსის დასახელება:
 წამყვანი პროფესორი:

ECTS კრედიტი: სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ:
 ლექცია: პრაქტიკული: ლაბორატორიული: სხვა:
 პრაქტიკა: სემინარი: საკურსო პროექტი\ სამუშაო:

№	კვირის №																	საბოლოო შეფასება, ქულა				
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17					
გვარი, სახელი	შუალედური შეფასებები, ქულა																	18, 19	20, 21			
																				გამოცდა, ქულა	30	
მაქსიმალური ქულა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	70	30	30	100
შენიშვნა	* ფრჩხილებში მოცემულია კონკრეტული სტუდენტის მიერ III ტესტირებაზე მისაღებ მაქსიმალური შეფასება, რომელიც შეადგენს 30 ქულასა და ყოველკვირეულ შეფასებებში დაგროვებულ ქულებს შორის სხვაობას																					

სასწავლო პროფესორი	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	რეგ. №	ინიც. და გვარი
				ბელომოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 ფაკულტეტის

№ აკადემიური ჯგუფის მამბისტრანტის/მამბისტრანტების კვლევითი
 კომპონენტის შემფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: სემესტრი: სასწავლო წელი:

კომპონენტის დასახელება:

ხელმძღვანელი:

ECTS კრედიტი:

№	კვირის №				საბოლოო შეფასება, ქულა
	7	13	18,19	20,21	
	შუალედური შეფასებები, ქულა	შუალედური შეფასებები, ქულა	შუალედური შეფასებები, ქულა	შუალედური შეფასებები, ქულა	
	I შუალედური გამოცდა (ტესტირება)	II შუალედური გამოცდა (ტესტირება)	სულ შუალედური გამოცდები, ქულა	ინტეგრირებული საბოლოო შეფასება	
1	30	30	60	40	100
2					
3					
4					
5					
შენიშვნა					

ხელმძღვანელი:	ინიგ. და გვარი	ხელმოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიგ. და გვარი	ხელმოწერა	რეგ. №	ინიგ. და გვარი
				ხელმოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 ვაკულტეტის

№ აკადემიური ჯგუფის დოქტორანტის/დოქტორანტების სასწავლო კურსის
 შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი:

სემესტრი:

სწავლების წელი:

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი:

ECTS კრედიტი:

№	სწავლების წელი			სემესტრი			სასწავლო წელი		საბოლოო შეფასება, ქულა
	სწავლების წელი			სემესტრი		სასწავლო წელი			
	7	13	13	18,19	20, 21	18,19	20, 21		
	შუალედური შეფასებები, ქულა			სულ შუალედური გამოცდები, ქულა		ადგილზე აცნობიერებენ			
	შუალედური გამოცდა (ტესტირება)			შუალედური გამოცდა (ტესტირება)					
	30	30	30	60	60	40	40	100	
1									
2									
3									
4									
5									
შენიშვნა									

წამყვანი პროფესორი:	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ბელომოწერა	რეგ. №	ინიც. და გვარი
			თარიღი	ბელომოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 უაკულტეტის

№ აკადემიური ჯგუფის დოქტორანტი/დოქტორანტების სემინარის/კვლევითი კომპონენტის შფვასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: სასწავლო წელი:

სემესტრი:

სწავლების წელი:

კომპონენტის დასახელება:

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ECTS კრედიტი:

№	გვარი, სახელი		კვირის №				საბოლოო შეფასება, ქულა
	7	13	სულ შუალედური გამოცდები, ქულა		18,19	20, 21	
			I შუალედური გამოცდა (ტესტირება)	II შუალედური გამოცდა (ტესტირება)			
1	30	30	60	40	40	100	
2							
3							
4							
5							
შენიშვნა							

სამეცნიერო ხელმძღვანელი:	ინიგ. და გვარი	ხელმოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დებარტამენტის უფროსი	ინიგ. და გვარი	ხელმოწერა	რეგ. №	ინიგ. და გვარი
			თარიღი	ხელმოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 ფაკულტეტის

№ აკადემიური ჯგუფის დოქტორანტის/დოქტორანტების კომპონენტის
 “დისერტაციის დასრულებებისა და დაცვის” შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი:

სემესტრი:

სასწავლო წელი:

კომპონენტის დასახელება:

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ECTS
 კრედიტი:

№	გვარი, სახელი		კვირის №				საბოლოო შეფასება, ქულა
	4	8	18,19	20, 21	დასრულებულია	დასრულებულია	
1	შუალედური გამოცდა (ტესტირება)	შუალედური გამოცდა (ტესტირება) II	შუალედური გამოცდა (ტესტირება)	შუალედური გამოცდა (ტესტირება)	სულ შუალედური გამოცდები, ქულა	დასრულებულია დასრულებულია	100
2							
3							
4							
5							
შენიშვნა							

სამეცნიერო ხელმძღვანელი:	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა
დეპარტამენტის უფროსი	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა
ფაკულტეტის დეკანი	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა	ინიგ. და გვარი	ბელომოწერა

